ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

"დინამო" (თბილისი) - "ელექტრიკი" (ლენინგრადი)-2:0 (0:0)
24 მაისი. თბილისი. ბერიას სახ. "დინამოს" სტადიონი. 30 000 მაყურებელი. მსაჯი პ. ფარსადანოვი (ბაქო).
გოლები: 1-0 სომოვი (61), 2-0 ჯეჯელავა (89).

"დინამო" (თბილისი): დოროხოვი, შავგულიძე, ჭუმბურიძე, ჯორბენაძე, ფროლოვი, გაგუა, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

"ელექტრიკი" (ლენინგრადი): ნაბუტოვი, ტოპტალოვი, გრიგორიევი, ბოდროვი, ორეშკინი, იაბლოჩკინი, ჩეკანოვი, არტემიევი, ლუტოშკინი, სმირნოვი, ლოტკოვი.

უკანასკნელ 10 წუთში

24 მაისს ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე ჩატარებულმა მატჩმა, საბჭოთა კავშირის პირველობაზე 30.000-ზე მეტი მაყურებელი მიიზიდა.

გათამაშების კალენდარის მიხედვით ამ დღეს საფესბურთო მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის "ელექტრიკის" (ყოფ. "კრასნაია ზარია") და თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

სრულ 5 საათზე დაიწყო თამაში. უპირატესობა დინამოელთა მხარეზეა. მოკლე და ზუსტი გადაცემებით ისინი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის ხშირი სტუმრები გახდნენ. მე-4 წუთზე მცველთაგან მიღებული ბურთი მ. ბერძენიშვილმა გაუჭრა პაიჭაძეს – ამ უკანასკნელისაგან დარტყმული ბურთი "აუტში" აღმოჩნდა.

სტუმრებმა თანდათან ალღო აუღეს დინამოელთა თამაშს, მე-5 წუთზე თბილისელთა კარი აშკარა საფრთხეში იმყოფებოდა, მაგრამ საერთოდ და ამჯერადაც ვირტუოზულად მოთამაშე ჭუმბურიძემ (თბილისი) გადაარჩინა თავისი გუნდი პირველი ბურთისაგან.

ტაიმის დამთავრებამდე მოწინააღმდეგეთა კარის წინ მრავალი კრიტიკული მომენტი იქმნება, ანგარიში კი კვლავ უცვლელია. თამაშის პირველი ნახევარი მთავრდება ფრედ – 0:0.

მეორე ტაიმის მეათე წუთზე 5 მეტრის დაშორებით კართან მიტანილი ბურთი ბერეჟნოიმ ხელში მისცა მეკარეს. ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მე-18 და მე-20 წუთებში.

თბილისელებს არც სტუმრები ჩამორჩნენ დარტყმის არასიზუსტეში. მე-23 და მე-30 წუთზე მათ 2 და 5 მეტრიდან ღია კარში თავისუფალი ბურთის გატანა ვერ შესძლეს.

34 წუთმა უშედეგოდ ჩაიარა. ყველა დარწმუნებულია მატჩის ფრედ დამთავრებაში. მე-35 წუთის დასასრულს მარჯვენა ფრთიდან გადმოსროლილი მაღალი ბურთის ასაღებად ადრეულად გამორბის მეკარე ნაბუტოვი, მას ხელიდან უვარდება ნახევრადაღებული ბურთი. ამ მომენტით სარგებლობს სომოვი და ძლიერი გარტყმით გზავნის მას კარის მარცხენა ფრთისაკენ. ბოძზე მოხვედრილმა ბურთმა შეიცვალა მიმართულება, მაგრამ მას მიუსწრო ბერეჟნოიმ – პირველი ბურთი ბადეშია.

ტაიმის დასასრულს სომოვის მიერ მოწოდებულ კორნერს კარგად იყენებს ჯეჯელავა და ადიდებს ანგარიშს.

მატჩი დამთავრდა – 2:0 დინამოს სასარგებლოდ.

კ. გ-ლია.
"მუშა", 25 მაისი, 1938 წ.